სად შეეხვდით, როგორ, ანუ როდის, ვით შევიყვარეთ,
როგორ შეეფიცეთ ერთმანეთსა — გზაში ვიამბობ.
გემუდარები, ახლავ, დღესვე დაგვწერო ჟვარი.

ლორენცო

წმიდა ფრანცისკა! ასე უცებ რამ გამოგცვალა?!
შენს ძვირფას სატრფოს როზალინას ღალატობ უკვე?
ნანს, ვმარწილკაცებს გულით კი არ — თვალებით
უყვარო.

ო, ღვთისმშობელო! როზალინას სიყვარულისთვის
ევ მტკნარი სახე ცრემლებს ზღვამ ჩამოვირცხა.
თუ გემოს აღარ იგემებდი, რატომღა ღვარე
ევ მლაშე წყალი სიყვარულის შესაკმაზავად?!
კვლავ ეფარება შენი ოხვრის ღრუბლები მზესა
და შენი კენესა ისევ რეკავს ჩემს მოსუც ყურში.
აბა, შენს დაწევებს კვლავ ანხიათ კვალი ცრემლისა,
რომელიც ძველად დაგდენია და არც ვამშრალა.
თუ შენი თაფი შენ გეკუთვნის, თუკი ნაღვლობდი,
თუ მწუხარებდი და ოხრაიდი როზალინასთვის,
რადამ შეგცვალა? აბა, ერთი ესეც იფიქრე —
ქალმა რაღა ქნას, ვაჟკაციც რომ ასე შერყეობს.

რომეო

ხშირად მტუქსავდი როზალინას სიყვარულისთვის!

ლორენცო

სიმშავისათვის, ჩემო შვილო, არა ტრფობისთვის.

რომეო

აკი მირჩევი, დამემარზა მე სიყვარული!

ლორენცო

ის როდი მითქვამს, დაემარზა საფლავში ერთი,
ხოლო მეორეს გადაჰყოფი!

რომეო

გემუდარები,
ნუღარ დამტუქსავ, რადგან იგი, ვინც ახლა მიყვარს,
სიყვარულს ჩემსას თანაუგრძნობს სიყვარულითვე,
ხოლო პირველი სულაც არა.

ლორენცო

იგი ზედავდა,
რომ სიყვარული შენ ზეპირად გქონდა ნასწავლი,
ხოლო ანხანი არ იცოდი სიყვარულისა.
ახლა დამშვიდდი, გამოიყვი, დაუღეგარო,

დაგეხმარები; შევეცდები, იქნებ როგორმე, ამ ჯვარისწერამ ძველი მტრობა ორი ვვარისა, საბედნიეროდ, სიყვარულად გადააქციოს.

რომეო

გული არ ითმენს — გავეშურათ.

ლორენცო

ბრძნულად და ღიზჯად, ხოლო ვინც ჩქარობს, იგი მალე წაიბორძიებს. (გაღიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ მ

ქნა.

შემოდან ბენკოლიო და მერკუციო.

მერკუციო

ემშაკმა იცის, ხად იქნება ახლა რომეო, წუხელის სახლში არ მოსულა?

ბენკოლიო

პო, არ მოსულა. მის მსახურს კკითხე, ასე მითხრა, არ მოსულაო.

მერკუციო

ამ ფერწასულმა გულქვა გოგომ, ამ როზალინამ ღამის გონება დაუფანტოს, ისე აწვალებს.

ბენკოლიო

ტიბალტს, მოხუცი ეპიკურეტის მიკეთეს, თურმე რომეოსათვის შინ წერილი გაუგზავნია.

მერკუციო

ბრძოლაში იწვევს, უსათუოდ, თავს გეფიცები.

ბენკოლიო

ქოდა, რომეოც მოახერხებს როგორმე პასუხს.

მერკუციო

ვინც წერა იცის, ყველა გასცემს წერილზე პასუხს.

ბენკოლიო

მე იმას ვამბობ, წერაღის გამგზავნს არვენებს-მეთქი, რა გამბედავიც არის, როცა შებედავენ.

მერკუციო

საბრალო რომეო, ისედაც მკვდარია! განგმირული თუთრი ღიაცის შავი თეალებით; ყურები სიყვარულის

სიმღერითა აქვს ვახერხებია, ხოლო გულის წვერი შე- აზე აქვს ვაპობილი ბრმა მოისარი ბიჭის ისრით. ტი- ბალტს რას შეებრძოლება?

ბენკოლიო

რა გგონია ასეთი ტიბალტი?

მერკუციო

არხეინად იყავ! კატების მეფეც ვერ შოვა მაგასთან! ვაჟკაცურად იცავს ყოველგვარ წესებს. ისევე იბრძვის. როგორც შენ მღერი ნოტებით: იცავს ტაქტს, მანძილს და წინასწარობას. სულს არ მოვითქმევინებს, ერთი, ორი და... მესამეზე უკვე გულში ჩაგეკმს, გაგისისხ- ლიანებს აბრეშუმის ღილს. ნამდვილი მებრძოლია. სა- უცხოოდ იცის ღუელში გაწვევის პირველი და მეორე საბაბი. აჰ, უკვდავი passado! punto reverso! hay!..²

ბენკოლიო

რაი?

მერკუციო

თავი მოგვაბეზრეს ამ მასხარა მანჭიებმა, ამ ღიფი- ანმა შეოცნებებმა, ახალმოდურა ღაბარაკით: „ქრის- ტესა ვეფიცავ, ბრწყინვალე მახვილია! რა მოხდენილია ქა- ბუკია! რა მომხიბლავი კახპაა!“ გასა სამწუხარო არ არის, ბატონო ჩემო, რომ ასე გეაწამებენ ეს უცხოეთი- დან მოთრეული ბუზები, ეს მოღუბის გამყიდველები თა- ვიანთი pardonnez mois-ს მახილით! ისე მისდევენ ამ ახალ წესებს, რომ ძველ სკამზე დაჯდომაც ვეღარ მოუ- ხერხებიათ. ოჰ, იმათი ხიას და ხიას!

ბენკოლიო

აი რომეოც, რომეო მოდის.

მერკუციო

შეხედე ერთი, ქვირითგამოცლილ ქაშაყს არა ჰგავს! ო, ხორცო, ხორცო, რამ გგაათეგზა?... ახლა პეტრარკას გუნებაზეა, თუმცა ლაურა, ამის ქალბატონთან შედარე- ბით, ჭურჭლების მრეცხავი გოგო იყო, ეს კაა, უკეთესა მიჯნური ჰყავდა, ღეჰსიებს უთხზავდა. დიდონა! ჩანწუ- რაა მასთან, კლეოპატრა — ბოშა ქალი; ელენე და ჰე- როლ — უნამუსო, როსკიბი დედაკაცები არიან; ნაცრის- ფერთუალა თისბი კი — აბა, რა მოსატანია, როგორ შე- ედრება მაგის სატრფოს!

(შემოდის რომეო.)

ბონკურ, სინიორ რომეო. აჰა, ფრანგული საღამო შენს ფრანგულ შარვალს. ძალიან თინი გეყვავი წუხელ.

რომეო

ორივეს ვისურვებთ მშვილობის დილას. რა ითინი გა- ყავით?

მერკუციო

რომ ვაგვეპარე, ბატონო ჩემო, რომ ვაგვეპარე, ეერ მოვიცინე?

რომეო

მომიტყევე, ჩემო კარგო მერკუციო, საქმე მქონდა. ასეთ დროს კაცს ეპატიება ზრდილობას გადაუხვიოს.

მერკუციო

ეს იგივეა, იუნდა ვეთქვას, ასეთ დროს კაცი იძულებულია, თავი წელამდე დახაროსო.

რომეო

ესე იგი, ზრდილობისათვის?

მერკუციო

კარგად მიმიხვდი, სწორედ იგვრება.

რომეო

რა ზრდილობიანი სატყევა-პასუხია!

მერკუციო

მე ხომ გვირგვინი ვარ ზრდილობისა.

რომეო

როგორ, ყვაკალის გვირგვინი?

მერკუციო

ღიას.

რომეო

ჩემი ფეხსაცმელებაც ყვაკილებითაა მორთული.

მერკუციო

მოსწრებულად ლაპარაკობ. მაშ, მომყევი ჭკუამახვილობაში, ვიდრე ფეხსაცმელები არ გაგცვეთია, თორემ როცა ევ ერთადერთი თხელი ლანჩა გაუცვთება შენს ფეხსაცმელს, შენც გამოლეინდები.

რომეო

პოი, ცალღანჩიანი ხუმრობავ! უცილობლად ცალო ამატომ, რომ ცალი აღარა გყავს.

მერკუციო

ბუნელიო, შუაში ჩამოდექი, თორემ ჩემი ჭკუამახვილობა მარცხდება.

რომეო

დასცხე მათრახი და დეზები ამოკარ, დასცხე და დეზები ამოკარ, თორემ ვიფიყინებ, მე გავიმარჯვე-მეთქი!

მერკუციო

თუ შენი ჭკუამახვილობა გარეული ბატებივით ააფრინე, მაშინ ჩემი საქმე წასულია, რადგან ერთ გრძობაში შენ უფრო მეტი გარეული ბატი გყავს, ვიდრე მე ხუთივეში ერთად. ეს მითხარი, მიგანძღი როდესმე ბატად?

რომეო

სხვად არც არაფრად მიმანძღი, თუ არა ბატად!

მერკუციო

მაშ, ყურზე ვიკებენ მაგ ხუმრობისთვის.

რომეო

კეთილო ბატო, ნუ იკბინები.

მერკუციო

შენი ხუმრობა მწარ-ტკბილია, მეტად ცხარე საწებელია.

რომეო

მით უკეთესი, მოუხდება გემრიელ ბატის სორცს!

მერკუციო

ნამდვილი თხის ჭკუა გაქვს. მაგ თხის ტყავი ერთი გოჯიდან ერთი საყენის სივრძეზე იჭამება.

რომეო

მაშ, ასლა მაგ „სიგრძიდან“ გავჭიმავ; თუ მიუღმატებთ მაგ სიტყვას ბატს, მაშინ შენც გრძელი, ზორბა ბატი გამოდიხარ.

მერკუციო

ასე არა სჯობს სიყვარულისთვის კრუსუნს?! ახლა შენ ნამდვილი გულღია კაცი ხარ, ნამდვილი რომეო. ისა ხარ, რაც უნდა იყო აღზრდილი და ბუნებით. ეს ღორბლიანი სიყვარული მასხარასა ჰგავს, ენაგამოვდე-ბული დაძრწის, რომ თავისი ჯოჯი სადმე შესწაროს.

ბენეოლიო

შესდექით, გეყოფათ!

მერკუციო

ნუ გამანერებ, თორემ მეწყინება.

ბენეოლიო

თუ არ შეგანერე, გააბამ ზღაპარს.

მერკუციო

აჰ, ცდები, მალე უნდა დამემთავრებინა, რადგან უკვე შევედწიე ამბავის სიღრმეში და აღარ ვფიქრობდი გავრძელებას.

(შემოდან გა მ დ ე ლ ი და პ ი ე ტ რ ი.)

რომეო

რა მშვენიერი მორთულობაა! აურა, აურა!

მერკუციო

ერი ერთად — კაბა და პერანგი!

გამდელი

პეტრო!

პეტრო

რას მიბრძანებთ?

გამდელი

ჩემი მარაო, პეტრო!

მერკუციო

კეოილო პეტრო, სახეზე მიაფარე; ეგ მარაო მაგის სახეზე უფრო მშვენიერია.

გამდელი

მშვილობის დილა, ბატონებო!

მერკუციო

სალამო მშვილობისა, მშვენიერი ქალბატონო!

გამდელი

ნუთუ უკვე დაღამდა?

მერკუციო

არც რამე აკლია, მერწმუნეთ. თქვენი მკვრის ურცხვის ღარი სამხრობის დროს გვიჩვენებს.

გამდელი

თავიდან მომწყვდი! ვინა ყიფილხარ?

რომეო

ეს კაცი, ქალბატონო, თავისდა ჭირად გააჩინა ღმერთმა.

გამდელი

კარგადა თქვა, „თავისდა ჭირად“. მშვენიერადა თქვა! ბატონებო, ვის შევიძლიათ მითხრათ, სად იქნება ახალგაზრდა რომეო.

რომეო

მე მოვახსენებთ, მაგრამ როცა იპოვით, ისეთი ახალგაზრდა აღარ იქნება, როგორც ახლაა, როცა მას ეძებთ. მე უმრწემესი ვარ ყველაზე, ვისაც კი ეგ სახელი ჰქვია, თუ არ უარესიც.

გამდელი

მშვენიერად ბრძანებთ.

მერკუციო

როგორ, უარესი მშვენიერი იქნება? ეფიცავ, შესანიშნავად ლაპარაკობთ, ბრძნულად, ბრძნულად.

გამდელი

ბატონო ჩემო, თქვენ თუ ბრძანდებით რომეო, სად უმელოდ უნდა მოგესაუბროთ.

ბენეილიო

ვახშმად თუ ეპატიუებიან სადმე.

მერკუციო

მაჭანკალი, ჰეი, მაჭანკალი! ეცი! ეცი!

რომეო

რა მოხდა, ვის უსისინებ?

მერკუციო

კურდღელს არა, ბატონო ჩემო, და თუნდა კურდღელი იყოს, სამარხვო ღვეზელში თუ გამოდგება, რადგა შეჭმამდეა გამოშვრალი და გამოფიტული.

(ღადის და მღერის.)

კურდღელი, ბებერი კურდღელი.
კურდღელი, ჭაღარა კურდღელი.
მარხვაში ძალიან კარგია კურდღელი.
ყელში რომ ჩხირივით მოგზღება,
რომ ზმება, რომ შრება ძალიან.
ეს განა საბრალო კურდღელის ბრალაა?

რომეო, შინ არ მიღიხარ? მამაშენთან უნდა ვისაღილოთ.

რომეო

ახლავე დავეწვივით.

მერკუციო

მშვიდობით, ძველო ქალბატონო. მშვიდობით! (მღერის.) „ქალბატონო, ქალბატონო, ქალბატონო“.

(ღადან მერკუციო და ბენეილიო.)

გამდელი

მშვიდობით! ერთი მითხარი, ბატონო, ვინ არის ეს ურცხვი მეწერილმანე, ამდენს რომ ყბედობს?

რომეო

ამ ვაუბატონს, გამდელი, თავისივე ლაპარაკის მის მენა უყვარს, და ერთ წუთში იმდენს დაუქვავს, მერსანანებლად ერთ თვისაც ეყოფა.

გამდელი

მაგან რომ რამე გამოიხდეს, ერთს კარგა მივტყეპავ კი არ შეუუშინებთ! თავისთანა ვიფინდარას, ოცს ერ

თად მივტყუებ: მე თუ ვერ მოვერიე, მავის მომრევსაც ვნახავ. არამზადა! მე რა სათრევი გოვო მნახა, რა მავისი ტოლი ვარ?! (პიეტროს.) შენც დგახარ და ყვილა უმსგავსს ნებას აძლევ, როგორც მოესურვება, ისე მომიქცევ.

პიეტრო

არ შემიწინააღმდეგავს, ისე თუ მოვექცათ ცინძე, როგორც მოესურვება, თორემ მაშინვე ხმაღს ვიძრობდი. ვინ დამასწრებს შემოკერას... თუ კარგი ჩხუბი ვნახე და კანონიც ჩემს მხარეზე იქნა!

გამდელი

ღვთის მადლმა, ისე ვარ აფორიაქებული, რომ სახსრები მიკანკალებს. არამზადა!.. თქვენთან ორიოდე სიტყვა მაქვს, ბატონო. როგორც მოგახსენებდით, ჩემმა პატარა ქალბატონმა მიბრძანა, მომენახეთ. მაგრამ რა დამაბარა, იმას არ ვეტყვი. ჯერ უნდა გაგაფრთხილოთ: თუ მის გაცურებას ფიქრობთ, როგორც იტყვიან ხოლმე, ეს დიდი, რომ იტყვიან, უსინდისობა იქნება. ქალბატონი ჯერ პატარაა და ცუდი იქნება, თუ უორგულვით.

რომეო

ჩემი თაყვანისცემა გადაეცი, გამდელი, შენს ქალბატონს. გადაეცი, რომ...

გამდელი

კეთილი სული, ვეფიცები, ყველაფერს ვეტყვი. აჰ, ღმერთო, როგორ ვეხარალება!

რომეო

რას ეტყვი, გამდელი? რომ არ დამაცადე თქმა!

გამდელი

გადავცემ, რომ შენ განაცხადე სურვილი, როგორც ეს შე გავიგე. მისი შერთვისა.

რომეო

უხხარა, რომ დღეს შუაღლისას მოიმიხეზოს სააღსარებოდ წახვლა იმან ბერას სენაკში და იქ ლორენცო დავუწერს ჯვარსა. ეს შენ. გარჯისთვის.

გამდელი

არა, ბატონო, ხელს არ ვახლებ, როგორ იქნება!

რომეო

აჰ, აიღე, გამომარაოვი.

გამდელი

ღღეს შუაღლისას, არა, ბატონო? ფიქრი ნუ გაქვთ, ის იქ დაგხვდებათ.

რომეო

დაიცა, ძიძა, უნდა ვითხრა. ერთ საათს შემდეგ შენ მონასტერის გაღვანთან ჩემს მსახურს ნახავ. იგი გადმოგცემს თოკის კიბეს, რომლითაც უნდა უკუნ ღამეში ნეტარების მწვერვალს ავიდე. ახლა მშვიდობით, ამ გარჯისთვის დავაჯილდობ. მშვიდობით იფავ, შენს ქალბატონს სალაში ჩემგან.

გამდელი

ღმერთმა დაგლოცოს, ზეციერმა. იცი, რას ვეტყვი?

რომეო

რას მეტყვი, ძიძა?

გამდელი

ერთგულია შენი მსახური? ხომ ვაგივინია, ორმა თუ იცისო...

რომეო

შენ ფიქრი ნუ გაქვს, ფილადივით ერთგული არის.

გამდელი

ესეც ასე, ბატონო ჩემო. ღმერთო, ჩემს ქალბატონზე უმშვენიერესს ვერავის შეხედები ქვეყნად. სულ პაწაწინა რომ იყო და ენას იჩლექდა... ჰო, ერთი კეთილშობილი კაცია ჩვენს ქალაქში, პარისი ჰქვია. შორიდან ეკურკურება. მაგრამ ჩემს ქალბატონს ურჩევნია გომბეშოს შეხედოს, ნამდვილ გომბეშოს. ხანდახან ეუჯავრდები კიდევაც. ვეტყვი ხოლმე — პარისი ყველაზე ღირსეული კაცია-მეთქი... თქვენც არ მომიკვდეთ! როგორც კი ამას ვეტყვი, ტილოსავით გაფითრდება. მართლა, რომმარინი და რომეო ხომ ერთი ასოთი იწყება?

რომეო

ჰო, გამდელი ორივე „რაეთი“ იწყება. მერე რა?

გამდელი

აჰ, რა მასხარა ხართ! „რ“ ხომ ძაღლური ასოა? ეს გამოიღვება... არა, მე მჯერა, რომ თქვენი სახელი სხვა ასოთი იწყება; ჩემმა ქალბატონმა კი მშვენიერი კალამბური მიაწყო თქვენზე და რომმარინზე — გავეხარებდებო, რომ გაიგონებთ.

რომეო

ჩემი სალაში გადაეცი შენს ქალბატონს.

გამდელი

ათასჯერ გადავცემ თუნდა! (რომეო მიღას.) პიეტრო!

პიეტრო

ვისმენტ.

გამდელი

პიეტრო, მარაო გამომართვი და წინ გამიძებს! (გაღიან.)

ს უ რ ა ტ ი მ ე ს უ თ ე

კაპულეტების ბაღი.

შემოდის ჯულიეტა.

ჯულიეტა

ცხრა იყო, ძიძა რომ გავგზავნე; ასე აღმოჩქვა —
 მივალ თუ არა, ხელად უკან დავბრუნდებიო.
 იქნებ ვერ ნახა! თუმცა არა!.. ის ხომ კოჭლია!
 მიჯნურებს უნდა შიკრიკებად ჰყავდეთ ფიქრები.
 ისინი ათჯერ უფრო სწრაფად გაიქროლებენ.
 ვიდრე მზის სხივი ღამის წყვდიადს გაჰფანტავს მოიდან.
 იმიტომ დაქირის სიყვარული ფრთამაღ მტრელებით
 და ქარივით სწრაფ კუპიდონსაც მიტომ აქვს ფრთები.
 აჰა, მზემ უკვე მიაღწია თავის დღიურ გზის
 უმაღლეს მწვერვალს და თუმც სამი გრძელი საათი
 გავიდა ცხრიდან თორმეტამდე, ის მაინც არ ჩანს.
 ახალგაზრდულად რომ უჩქეფდეს იმასაც სისხლი,
 მაშინ ბურთივით გაიფრენდა, გავარდებოდა,
 ჩემი სიტყვები ჩემს სატრფოსთან გადასტყორცნიდნენ,
 იმისი — ჩემთან. მაგრამ მოხუცს რა აჩქარებს!
 თავს იმკვდარუნებს, უსისხლოა, ტყვიისებრ მძიმე.
 მაგრამ, ჰა, ღმერთო, ისიც მოდის!

(შემოდან გამდელი და მისი მსახური პეტრო.)

ტკბილო გამდელი,

რა ამბავს მტყევი? მითხარ, ნახე? ეს დაითხოვე.

(პეტროზე ანიშნებს.)

გამდელი

პეტრო, კართან დამელოდე.

(პეტროს ვაღის.)

ჯულიეტა

ახლა მითხარი,

ჩემო ვაღია! ღმერთო ჩემო, ასე მწუხარედ
 რატომ მიყურებ? თუნდ მწუხარე ამბავი იყოს,
 შენ მზიარულად მითხარ მაინც, და თუ კარგია,
 რატომღა წამლავ ტკბილი ამბის საამურ ჰანგებს?!

გამდელი

ცოტა მადროვე, დავიქანცე. ვაი, როგორ მტეხს!
 ვაიმე ძვლები! ესეც შენი გასვირნება!

ჯულიეტა

ნეტავი ჩემი ძვლები მოგცა, მე კი სანაცვლოდ
 იგი ამბავი, რაც შენ მოგაქვს. თქვი, რაღას უცდი!
 გემუდარები, კარგო ძიძავ, ჩქარა მითხარი.

გამდელი

ო, ღმერთო! ნეტა რა განქარებს, ვედარ მოითმენ?
 ვერ ხედავ მაინც, რა დღეში ვარ — სულს ვედარ

ვითქვამ!

ჯულიეტა

სულს ვერ ვითქვამო, რომ იმაზი, ამის სათქმელად
 ხომ გყოფნის სუნთქვა, და ეს შენი ფუჭი წუწუნი
 უფრო გრძელია იმ ამბავზე, რაც უნდა მითხრა.
 როგორი ამბის მოხრობელი ხარ — კარგის თუ ავის?
 ჯერ მოკლედ მითხარ, დაწერილებით მერე მიაგმე,
 ახლა მეტს არ გთხოვ, მიპასუხე, კარგი თუ ავი?

გამდელი

კეთილი. შენი არჩევანი ბევრი არაფერია, არა გცოდ-
 ნია კაცის არჩევა. რომეო... არა, რა ბრძანებაა!.. სახით
 კი სხვებსა სჯობს, ფეხებიც კარგი აქვს, ხელებიც, ტა-
 ნიც, მაგრამ ეს რა მოსატანია! მართალია, ვერაფერ შე-
 ედრება, მაგრამ მაინც ვერ არის თავაწიანობის ბრწყინ-
 ეალე თაიგული. ისე, ბატკანავით უწყინარი კია. ახლა
 შენს საქმეს მიხედე. უკვე ისადილეთ?

ჯულიეტა

მაგას არ გკითხავ, ეგ ისედაც ვიცოდი ადრე,
 ქორწინებაზე რა გითხრა მან, ქორწინებაზე?

გამდელი

ო, ღმერთო, თავი როგორ მტკივა! ვაიმე, თავი!
 მტეხს, მტეხს, ისე მტეხს, თითქოს ოცად უნდა
 გამისკვს.
 ახლა ეს ზურგიც! ვაი, ზურგი, ოი, როგორ მტეხს!
 შენმა გულმა კი გამიმეტა მე სასიკვდილოდ,
 აღმა თუ დაღმა მანაქჩაქებ, მახეტიალბ.

ჯულიეტა

ძალიან გწუხვარ, ცუდად რომ ხარ, ტკბილო ვაღია,
 მაგრამ მითხარი ჩემმა სატროფომ რა დაგაბარა?

გამდელი

ისეთი რამე დამაბარა შენმა მიჯნურმა,
 რაც პატიოსან კაცს შეჰფერის, ზრდილობით სავსეს,
 ამასთან კეთილს, წესიერსა და თანაც სათნოს...
 მაგრამ სად არის დედაშენი?

ჯულიეტა

ღედა სად არის?

შინ, სად იქნება?!.. აბა, ეს რა პასუხი არის!
 „ისეთი რამე დამაბარა შენმა მიჯნურმა,
 რაც პატიოსან კაცს შეჰფერის, ზრდილობით სავსეს...
 მაგრამ სად არის დედაშენი?“

გამდელი

ო, ღვთისმშობელო,

როგორ გაცხარდი, კარგი ერთი, დამშვიდდი, კმარა.
 მაგ მაღამოთი გსურს დამიცხორო ძვლების ტკივილი?
 მაშ, შენს თავს შენვე უშვიკრივე ამიერიდან.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ისევ დაიწყო აბდაუბდა! რამეიმ რა თქვა?

გ ა მ დ ე ლ ი

დღეს აღსარების მისაღებად თუ დავრთყის ნება?

ჯ უ ლ ი ე ტ ა

დამრთყს.

გ ა მ დ ე ლ ი

მამ გასწი ლორენცოსთან სენაკში, ჩქარა. იქ შენი საქმრო დაგზვდება და ცოლად შეგირთავს. შეხედე, ლოყებს ცელქი სისხლი როგორ მოაწვა. ახალ ამბავზე ასე იცი, წამოჭარხლდები. ჩქარა ტაძრისკენ! მე კი სხვაგან უნდა წავიდე: კაბეს მოვიტან, რომ იმითი შენს სატრფოს ღამე შექძლოს თავის ჩიტუნიას ბუდეში ასვლა. თქვენ სიხარული, მე კი ამით — შრომა და ჯაფა. თუმცა შენც კარგა მძიმე ტვირთი გელის ამაღამ. მამ ახლა ჩქარა სენაკისკენ, მე კი სადილად.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ჩქარა სანატრელ ბედისაკენ! მშვილობით, ძიძა!
(გადიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე მ მ მ მ მ მ

ბერი ლორენცოს სენაკი.

შემოდან ბერი ლორენცო და რომეო.

ლ ო რ ე ნ ც ო

ზეცავ, კურთხევას ნუ მოაკლებ ამ წმიდა საქმეს და მწუხარებას ნუ მოგვიღვენ შემდეგ სასჯელად.

რ ო მ ე ო

ამინ, ვისმინოს! მწუხარება მოვიდეს კიდეც. ის ვერ დამრდილავს იმ სიხარულს, რასაც ჩემს გულში ჩემი ტრფილის წამიერი ნახვა აღმიძრავს. შენ წმიდა ლოცვით შეაერთე ჩვენი ზელები, მერე მოვიდეს ტრფობის მტერი სიკვდილი თუნდა — ჩემთვის ის კმარა, ჩემი სატრფო ჩემდ ვიგულო.

ლ ო რ ე ნ ც ო

შმაგ ვატაცებას სავალალო ბილოც თან მოხდევს, და მაშინ კვდება, როცა ფიქრობს — გავიმარჯვეო, ჩაიფერფლება, როგორც დენთი ცეცხლთან ამბირით. უტკბესი თაფლიც გებუზრდება და მადას გვიფუჭებს სწორედ თავისი სიტკობებით. მამ, ეს გახსოვდეს, რომ სიყვარულში საჭიროა ზომიერება, მხოლოდ ასეთი სიყვარული გასძლებს ბილიმდე. კინც ძლიერ ჩქარობს, იგი მალე ტაატით ივლის.

(შემოდის ჯ უ ლ ი ე ტ ა.)

ჰა, შენი სატრფოც. საუკუნო კაყის ფილაქანს ვერ ვაცვიტის ასე წარწარი და მსუბუქი ფეხი. მიჯნურებს ძალუძთ იჯირითონ აბლაბუდაზე. რასაც ზაფხულის ცელქი სიო ზანტად შეარხეეს. ასე მსუბუქი არის მუდამ ამაოება.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

სალამს მოგიძღვნი, სულიერო ჩემო მოძღვარო!

ლ ო რ ე ნ ც ო

ორივეს ნაცვლად შენ რომეო მოგესალმება.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

რომ მომესალმოს, მე იმასაც მივესალმები.

რ ო მ ე ო

ჩემო ძვირფასო ჯულიეტა! თუ შენი გული ჩემებრ სავსეა მოზღვავებულ მხიარულებით, თუ უკეთესად შეგიძლია გამოთქმა მისი, მაშინ ქაერი შენი ტკბილი სუნთქვით დაატკბე და ეს უზომო სეტარება ამ შეზვედრისა გამოთქვი შენი უნაჩესი ენის მუსიკით.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

სიტყვაზე მეტად სხვა სიმდიდრეს ელობს სიყვარული, იგი ამაყობს არსით, არა სამკაულებით. ქონებას თვისას მათხოვრები ითვლიან მხოლოდ. ჩემი გრძნობა კი ისე გასცდა ყოველგვარ საზღვარს, რომ მის სიმდიდრის ნახევარსაც ვედარ დავითვლი.

ლ ო რ ე ნ ც ო

ახლა მომევეით და სულ მალე მოვრჩებით საქმეს. თქვენ ორს კი მარტო ვერ დაგტოვებთ მე ჯერჯერობით, ვიდრე ტაძარი ერთ არსებად არ გადაგაქცევთ.

(გადიან.)

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

ვერონა. შოქლანი.

შემოდან მერკუციო, ბენვოლიო, უარემი და მსახურები.

ბენვოლიო

წამო, წავიდეთ, მერკუციო, საშინლად ცხელა, კაპულეტებიც ქუნა-ქუნა დაწანწალებენ, და თუკი სადმე შევეჩინებო, ჩხუბს ვერ ავცდებით, რადგან სიცხეში სისხლი ზელად ათუნთუხდება.

მერკუციო

შენ იმ ჭაბუკსა ჰგავხარ, საძიკიტნოში რომ შევა და ხმაღს შავიდაზე დაანარცხებს — ღმერთმა ქნას, შენი თავი აღარ დამპირებოდესო. მეორე ჭიქაზე კი დასტაცებს ხელს და მიეიტანს მივარდება სრულიად უსაბაზოდ.

ბენვოლიო

მართლა მაგისთანა ვარ?

მერკუციო

რა პრძანებაა — შენისთანა ჩხუბასთავს მეორეს ვერ შეგხვდები იტალიაში. ცოტა რომ ვაგაფიცხონ, მაშინვე იფეთქებ, ხოლო როგორც კი იფეთქებ — ხელად ვიწვეთები.

ბენვოლიო

კიდევ რას იტყვი?

მერკუციო

შენისთანა ორი რომ იყოს ქვეყნად. მაღე არც ერთი არ გაღარჩებოდა, ერთმანეთს დახოცავდნენ. შენა? შენ ამისთვისაც კი წაენხუბები კაცს, ერთი ღვრით შენზე ნაკლები ან ერთი ღვრით მეტი წვერი რომ ჰქონდეს. კაგალი რად ვატყებო, ამისთვისაც კი წაენხუბები კაცს და მხოლოდ იმატომ, რომ კაკლისფერი თვალები გაქვს. შენს ვარდა, აბა, ვისი თვალები იბოენიან ამაში ჩხუბის მაზესს?! შენა თავი ჩხუბით ისეა საესე, როგორც კურცხი გულ-ცილით. იმიტომაც, იმდენჯერ გაუტყბით თავი შენთვის დავე კურცხისვით. შენ არ იყავი, ვიდაცას რომ წაენხუბე, ქუნაში რად დაახვედლე და ძაღლი რად ვამიღვიძეო!.. შენ არ ეჩხუბე ერთ თერძს, ახალი ჯოზე ალღვიმამდე რატომ ჩაიცვლი! მეორეს კი შარი მოსდე, ახალი წესსაცმელები ძველი თასმებით რად შევიკრავსო! ასეთი კაცი მაშლი ჩხუბს?!

ბენვოლიო

შენისთანა ჩხუბასთავი რომ ვიყო, ყიველი გამვლელი იყოღდა ჩემს თავს და მისი მძღებისათვის ერთი საათის ლიდინიც არ დასჭირდებოდა.

მერკუციო

შენს თავს? აი თავი!

ბენვოლიო

თავი ნუ მომიკვდება, კაპულეტები მოდიან.

მერკუციო

ფიხები ნუ მომიკვდება, ეს სულაც არ შენადგვება.

(შემოდან ტიბალტი და სსუქია.)

ტიბალტი

აქეთ მომყვით, რაღაც უნდა ვუთხრა მე იმათ.

(მერკუციოს და ბენვოლიოს.)

სალამს შოვიძღვრით, ერთი სიტყვა ერთ-ერთ თქვენგანთან.

მერკუციო

მხოლოდ ერთი სიტყვა? ბარემ დააწყვილე, დარტყმაც მიუმატე.

ტიბალტი

არც მაგასე დავიხვე უკან, ოღონდ საბაბი მომეცით.

მერკუციო

რაღა ჩვენ მოგცეს, თვითონ მოძებნე.

ტიბალტი

მერკუციო, შენ რომეოს გუნდში ხარ...

მერკუციო

გუნდში? მომღვრლები გვიანაგარი?! თუ ასეა, ტყიბდ სიმღერას ვერ მოისმენ ჩვენგან. აი ჩემს ქამანი. ამით ავაციკვებ. ღმერთმა დასწყვილოს! გუნდი!

ბენვოლიო

რაღა საქვეწოდ ვაგვიხლია ეს ჩვენი დავა, მყუდრო აღვილი გამოენახით და იქ მოვროცდეთ, ან თუ არა და ვავეცვალოთ ერთმანეთს ჩქარა, აქ ხალხს დადის და სუფველა ჩვენ გვითვალთვლებს.

მერკუციო

მაშ, თვალი რიღას მაქნისია, თუ არ ვვიციქირეს! აქედან ფიხსაც კი ვერავინ მომაცვლევისებს.

ტიბალტი

კარგი, დამშვიდდი, ჩემი ბიჭი მოდის აქეთკენ.

(შემოდის რომეო.)

მერკუციო

დუ ჩამომახრწონ, ვაუბატონო, თუკი ის მართლა შენი ბიჭია. გაიწვიე სადმე მინდორში — დარწმუნდები, რომ მზად იქნება შენს სამსახურად. ალბათ ამიტომ თუ ეძახი ბიჭსა და მსახურს!

ტიბალტი (რომეოს)

ჩემი შენდამი მძულვარება უკეთეს სახელს ვერ მოიგონებს — არამზადა ხარ შენ, რომეო!

რომეო

იგიე მიზეზი, რომლის გამო უნდა მიყვარდე, ახლა მზორკავს, რომ შეგვარადეი მოგესალამო. მე არამზადა არ ვარ, ტიბალტო. მშვიდობით იყავ! როგორც ეტყობა, შენ ვერ იცნობ რომეოს კარგად.

ტიბალტი

ბაღლი, ნუ ფიქრობ დამავიწყე შეურაცხყოფა, ამას წინათ რომ გამაცეცხლეს! ხმალი იშისვლე!

რომეო

არა, აზრადაც არ მომსვლია შეურაცხყოფა. შენ ამას ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ, ვიდრემდე მიზეზს გაიკვებდე სიყვარულისას. ახლა დამშვიდდი, საყვარელო ჩემო კაპულეტ, რომელ სახელსაც, ვით ჩემს სახელს, ალერსით ვამბობ.

მერკუციო

ო, ეს წვეული, სამარცხვინო დამორჩილება! *Alla stoccata*-ში უნდა გეიხსნას სირცხვილისაგან. თავიკეტერია ტიბალტ, აბა, ჩქარა გამიღი.

(იძრობს ხმალს.)

ტიბალტი

ჩემგან რა გინდა?

მერკუციო

შენი ცხრა სიცოცხლიდან მხოლოდ ერთი, კატების დიდებულო მეფე, სხვა არაფერი. ვნახოთ, მერე იქნებ დანარჩენი რვაც წავართვათ. არ ინებებთ, ყურით ამოსწოთ თქვენი ხმალი ქარქაშიდან? ჩქარა. თორემ ჩემი დაგასწრებს და ყურთან გაეტიროლებს.

ტიბალტი

მზად გაზღავარ სამსახურისთვის.

(იძრობს ხმალს.)

რომეო

ჩემო მერკუციო, ჩააგე ხმალი!

მერკუციო

აბა, ბატონო, თქვენი *passado*.

(იბრძვიან.)

რომეო

ხმალი იშისვლე, ბენეოლიო, და გაეაშვილოო. აა გრცხვენიათ! ბატონებო, დამშვიდდით, კმარა! ტიბალტ, გაშორდი! მერკუციო, პრინცმა აკრძალა ქუჩებში ჩხუბი. მერკუციო, ტიბალტ, დამშვიდდით!

(ტიბალტი რომეოს მკლავებზე გააცურებს მახვილს, მერკუციოს დასჭრის და გაიქცევა.)

მერკუციო

ჭირმა გასწევითოს ეს ორივე საგვარეულო! დამჭრა, გაეთავდი! უვნებელი წავიდა თვისითინ?

ბენეოლიო

რა მოვთვინა, დაჭრილი ხარ?

მერკუციო

გაკაწრული ვარ, მაგრამ კმარა! ფარეშს მომასმეი. წაღა, ბიჭო, და დასტაქარი მომგვარე ჩქარა.

(ფარეშს ვაღის.)

რომეო

გამავრდი, მეგობარო, დიდი ჭრილობა არ იქნება.

მერკუციო

არა, არც ჭასავით ღრმაა, არც ტანის კარიგათ ფართო, მაგრამ თავისას მაინც იზამს. ხვალ მიკითხე და განსვენებულს მნახავ. დამაპრილებს. საამქვეყნიოდ აღარ ვეარვივარ. ჭირმა გასწევითოს ორივე საგვარეულო! ღმერთმა დასწევლოს, ვილაც ლეკვმა, კატამ, ვირთაგვამ, თაგვმა სასიკვდილოდ დამჭრა! ბაქია არამზადა, ავაზაკი! ისე იბრძვის, ვეგონება წიგნის წესებს მისდევსო. შენ რაღა უშმაკმა ჩავაყენა ჩვენს შორის? სწორედ შენს მკლავებზე გამოაცურა ხმალი.

რომეო

ვცდილობდი, გამეშვილებინეთ.

მერკუციო

მხარში შემადექ, ბენეოლიო, და მიმავყენე ვინმესთან სახლში, თორემ ვატყობ, რომ უფლი მიძდის. ჭირი, გაწვევტა ორივე გვარს! მავათ მიზეზით მატლების საზრდოდ გადვიქცეო. ო, თქვენი გვარი! (ბენეოლიოს და მსახურებს გაჰყავთ.)

რომეო

უძვირფასესი მეგობარი, პრინცის მოკეთე, ჩემი; მიზეზით სასიკვდილოდ განგმარეს ახლა.

ღირსება ჩემი აწ შებღალა შმაგმა ტიბალტმა,
ტიბალტმა, ვისაც სულ ახლახან მე დაეუპოვერდი.
სულზე უტკბესო ჯულიეტა, შენმა მშვენებამ
მოსდრიკა ჩემი ვაჟკაცობა რკინისებური
და მე, საბრალო, ქალანუნად ვადამაქცია.

(შემოდის ბენვოლიო.)

ბენვოლიო

მოკვდა მამაცი მერკუციო, გესმის, რომეო,
იმის ამაყ სულს შეეზიზღა ცოლეილი მიწა
და ნაჩქარევად გაეშურა ღრუბლებიხაკენ.

რომეო

ეს ბედშაეი დღე კიდევ მრავალ დღეს გააშავეს.
ამ დღით დაიწყო მწუზარება, სხვა დაამთავრებს.

(შემოდის ტიბალტი.)

ბენვოლიო

ჰა, აქეთ მოდის ცოფიანი ტიბალტი ისევე!

რომეო

ეს ცოცხლობდეს და გამარჯვებას აქ ზეიმობდეს,
მერკუციო კი მკვდარი ეგდოს!.. შირს, მათმინებავ!
ჩემი არსება აწ ცეცხლთვალა სიშმაგემ მართოს!
ეპეი, ტიბალტ, არამზადა შენა ზარ თვითონ!
თავს დაგვტრიალებს მერკუციოს ნათელი სული
და შენსას უცდის, რომ ორივე ერთად გაფრინდეს.
აბა, გამოდი, ან შენ, ან მე, ანუ ორივე
თანამგზავრები უნდა ვაგზადო მერკუციოსი!

ტიბალტი

საბრალო ბაღლი, აქ შენ ჰყავდი იმას მეგობრად,
იქაც შენ გაჰყვივ.

რომეო

ვინ გაჰყვება, ხმალმა გვიჩვენოს.

(იბრძვიან. ტიბალტი დუცემა.)

ბენვოლიო

ჩქარა, რომეო, თავს უშველე, ხალხი ბობოქრობს.
ტიბალტი მოკვდა. რას გაშეშდი? თუკი შეგიპყრეს,
სიკვდილით დასჯა არ აგცდება. ახლავე წადი!

რომეო

ბედი დამცინის.

ბენვოლიო

გასწი ჩქარა, რაღას უდგახარ?!

(რომეო გადის. შემოდის მოქალაქენი და ღარაჯები.)

პირველი ღარაჯი

რა უზით გაიქცა მერკუციოს მკვლელი ტიბალტი?

ბენვოლიო

აი, აქა წევს.

პირველი ღარაჯი

ადექ ჩქარა და გამოიძვიკო.

პრინცის სახელით ვიბრძანებ, რომ დაშემარწალი!

(შემოდის პრინცი, მოსუცი მონტეუცი,
კაპულეტები, მათი ცილები და სხვანი.)

პრინცი

ვინ წამოიწყო ეს სისხლისღვრა საბედისწერო?

ბენვოლიო

მე შემიძლია მოგახსენოთ, ბატონო პრინცი,
ამ საშინელი, შავბედიანი ჩხუბის ამბავი.
თქვენი მოკეთის — მერკუციოს მკვლელი აქ გლია,
თვით განგმირული ახალგაზრდა რომეოს ხმლითა..

ქ-ნი კაპულეტი

ტიბალტ, ო, ჩემი საყვარელი, ჩემი ძმისწული!
პრინცი, მისმინეო, ოჰ, მეუღლეო, ოი, ძმისწული!
ხომ დაიდგარა ჩემი კარგი მოკეთის სასხლი!
მაშ, ახლა პრინცი, თუკი მართლა გაქვს სამართალი,
მინტევის სისხლს დაიდგაროს, ჩვენის სანაცვლოდ.

პრინცი

თქვი, ბენვოლიო, ეს სისხლისღვრა ვინ წამოიწყო?

ბენვოლიო

ტიბალტმა! იგი მოკლულია... რომეომ მოჰკლა.
მას ტკბილი სიტყვით მიმართავდა რომეო მშვიდად,
შეავიწყებდა ის ქიშპობის ამბობას,
თქვენის რისხვითაც დაემუქრა, და თუმც ყველაფერს
ეუბნებოდა ალერსით და მუხლის მოდრეკით,
შმაგი ტიბალტის დაწყნარება მაინც ვერ შეძლო,
დამშვიდებაზე ერთი სიტყვაც არ მოისმინა
და მერკუციოს ბასრი ხმალით ეკეთა მარდად.
გაფიცვებული მერკუციოც ჩაება ჩხუბში
ომის საზარი გაცოფებით. ერთი მოქნევით
ცივსა სიკვდილსა, მასზედ მოსულს, იგერიებდა,
მეორეთი კი ტიბალტისკენ გზავნიდა უკან,
ვინაც, თავის მზრვი, მოხდენილად იცდენდა დარტყმას.
რომეო ყვირის: „მეგობრებო, კმარა, გაშველდით“.
შუაში ჩადგა და ხელებით, სიტყვაზე სწრაფით,
საბედისწერო მახვილები დააყრევინა.
მაგრამ ტიბალტმა მას დაასწრო — რომეოს მკლავიქვეშ
თვისი მახვილი შეაცურა და დაუნდობლად
განგმირა გმირი მერკუციო მუხთალი დარტყმით,
თვით კი გაიქცა. მაგრამ შემდეგ, რიცა მობრუნდა,
შურისძიებით აღგზნებული დახვდა რომეო.
ელვაზე სწრაფი იყო მათი ხმლების ტრიალი
და ვერც მოვასწარ ჩაერეიდი გასაშველებლად,

უცებ ტიბალტი ძირს დავარდა გულგანგმირული,
ხოლო რომეომ თავს უშველა. ახლავ მომკალით,
თუკი ტყუილი იყოს რამე ჩემს ნაამბობში.

ქ-ნი კ ა პ უ ლ ე ტ ი

ტყუის, ეს ტყუის! მონტეგების მოკეთე ვახლავთ,
მიტომაც ცდილობს, რომ სიძარითლე დაჰფაროს ახლა;
ამ საზარ ჩხუბში ოცი — ერთი კაცს ებრძოდა მხოლოდ
და ოცმა კაცმა — ერთ სიცოცხლეს მოუღო ბოლო.
მართლმსაჯულება! შენგან, პრინცო, სამართალს ველით,
სიკვდილით უნდა დაისაჯოს ტიბალტის მკვლელი!

პ რ ი ნ ც ი

მერკუციოს მკვლელს მან სიკვდილი აგება მწარე!
მოკეთის სისხლი ვიღამ მიზლას, ესეც თქვით ბარემ.

მ ო ნ ტ ე გ ი

რომეომ არა! ნუ შეხედავთ, პრინცო, მას მტრულად,
სისხლის აღებას მეგობრისთვის ის დაეშურა;
მსაჯულს დაასწრო, მკვლელს სასჯელი მიუზღო თავად,
ბრალსაც ევა აქვს, ტიბალტის დღე მან გააშავა.

პ რ ი ნ ც ი

სწორედ მავისთვის გავაძეგებთ ამ ქალაქიდან.
მეც ბევრი მეგობო თქვენი მტრობით და მძულვარებით,
თქვენს უგნურ ჩხუბში ჩემმა სისხლმაც ბევრი იდინა.
ახლა კი მე თქვენ დაგიწესებთ ისეთ საზღაურს,
რომ სინანულით დაიტვირთო ჩემი ვარამი.
იცადეს ყველამ, არ შევისმენ თხოვნა-მუდარას
და ვერც ცრემლებით დამავიწყებთ ჩემს მწუხარებას.
რომეო ჩქარა გაეშუროს აქედან, თორემ
რა წამს ნახავენ, მოუღებენ მაშინვე ბოლოს.
მკვლელის დახოვეა იმას ნიშნავს, შენც მკვლელი იყო.
ეს გაასვენეთ და რაცა ვთქვი, კარგად გახსოვდეთ!

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

კაპულეტების ბაღი.

შემოდის ჯ უ ლ ი ე ტ ა .

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ვასწით, გაფრინდით, ცეცხლოვანო მერნებო, ჩქარა,
გაიქროლეთ და მიიჭვრით ფეხუსთან მარდად...
თქვენი მეეტლე ფაეტონი! რომ იყოს ახლა,
ვაგაქროლებდით გამალებით დასაველეთისკენ
და ქვეყანაზე დაღებოდა უკუნი ღამე.
მიჯნურთ მფარველო ბნელო ღამეც, გაშალე ფარდა,
რომ შენს წყვილადში უცხოთ თვალმა ვერ დაინახოს
ჩემი რომეო. რომ იღუმალ მოვიდეს ჩემთან
და მომეხვიოს? მიჯნურთ ძალუბთ საკუთარივე

მშენიერების სინათლეზე იხილონ ყველა,
რაც თვითონა სურთ, და ბრმა იყოს თუნდ სიყვარული,
მით უფრო მსგავსი იქნებოდა ის ბნელი ღამის.
მოდი ღამეო, შენ შავებით მოსილო ქაღო.
მასწავლე, როგორ წავავო იმ მომენტ თამაშში,
სად წყვილ უმანკოს უბიწობა მიაქვს საწინდრად.
გაღამაფარე შენი შავი წამოსასხამი,
რომ არ გამოჩნდეს მღელვარება უწყვეთი სისხლის,
ვიდრე ეს მორცხვი სიყვარული გამამაცდება,
ვიდრე მიხედება, რომ ჭეშმარიტ მიჯნურებისთვის
მოკრძალება და გულწრფელობა არის საჭირო.
მამ მოდი, ღამეც, და შენც მოდი, ჩემო რომეო,
ნათელი დღეო ამ ღამეში... დღეო, რადგანაც
ღამის შავ ფრთებზე კიდევ უფრო მეტად ეღვარება,
ვიდრე ახალი თოვლის ფიფქი ყორნის ფრთებზედა.
ო, ტკბილო ღამეც, საყვარელო, შავივალა ღამეც,
მალე მოფრინდი, მომიფვანე ჩემი რომეო!
დასჭერ პატარა ვარსკვლავებად, როცა მოკვდება,
და ზეცას ისე გაანათებს, გააცისკროვნებს,
რომ ბრჭყვიალა მზეს მოაკლდება თაყვანისცემა,
და მთელი ხალხი, ტკბილო ღამეც, შენ შეიყვარებს!
თუქც ნაყიდი მაქვს სიყვარულის თაყვანისცემა,
ჯერ არ ვფლობ მაინც, და გავყიდე თუქც ჩემი გული,
მისი მყიდველი არ დამტკბარა ჯერაც ამითი.
ისე გრძელი ჩანს ეს დღე ჩემთვის და მომქანცველი,
როგორც დღეობის წინა ღამე გოგონასათვის,
რომელსაც დილის მოლოდინში გული ელევა,
რათა ჩაიცვას ტანსაცმელი ახალ-ახალი.

(შემოდის ვ ა მ დ ე ლ ი თაქის კიბით.)

ჰა, მიძაც მოდის, მოაქვს ჩემთვის ტკბილი ამბავი.
ყოველი ენა, ვინც რომეოს სახელს ახსენებს,
საამოა და ზეციური. რას მეტყვი ახალს?
ეს თოკის კიბე მოიტანე?

ვ ა მ დ ე ლ ი

კიბეა, კიბე.
(დააგებს კიბეს.)

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ვაიმე, თითებს რატომ იმტვრევ? რა მოგივიდა?

ვ ა მ დ ე ლ ი

ეს რა შავი დღე გავკითხვინდა! მკვდარია, მოკვდა!
მორჩა, ვათავდა, ქალბატონო, ჩვენ დავიღუპეთ.
ვაი ამ შავ დღეს! ის მკვდარია! მოკვდა, ო, მოკვდა!

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ვინ იფიქრებდა, შურიანი თუ იყო ზეცა!

ვ ა მ დ ე ლ ი

რა დაგიშავა ნეტა ზეცამ — რომეო გეტყვა!
ვაგლას, რომეო! აბა, ამას ვინ იფიქრებდა!

ჯულიეტა

ემშაკი ხარ თუ ავი სული, ასე რომ მტანჯავ?
ეს სატანჯველი ჯოჯოხეთსაც ააბლაგლებდა.
თავი მოიკლა მაშ რომეომ? შენ მხოლოდ „ჰო“ თქვი,
და ეს მშრალი „ჰო“ უფრო სწრაფად მომიღებს ბოლოს,
ვიდრე მშხამავი ბასილისკოს თვალის შეეღება?
შენ მხოლოდ „ჰო“ თქვი – და მე უკვე აღარ ვიქნები.
მაშ მოკვდა იგი? მიპასუხე, თქვი „ჰო“ ან „არა“,
მოკლედ მითხარი სიხარული ან მწუხარება!

გამდელი

მე თვითონ ვნახე, ჩემი თვალით, მისი ტრილობა.
ღმერთო, უღბინე! სწორედ აქა, ვაჟკაცურ მკერდში.
საბრალო ვვამი შედედებულ სისხლში სცურავდა,
სულ სისხლში იყო! ნაცარივით ფერდაკარგული!
დავინახე და მაშინათვე გრძნობა დაკარგე.

ჯულიეტა

ო, გასკდი გულო, უბედურო, გაკოტრებულო!
თვალნი – დილეგში! ნულარა სჭვრეტთ თავისუფლებას!
საბრალო ვვამი, მიწა ხარ და მიწად იქცევი,
რომეოს გვერდით განისვენე, მასთან კუბოში.

გამდელი

ო, ტიბალტ, ტიბალტ, მეგობარო უძვირფასესო!
კუთლშობილო ვაუბატონო, ზრდილობით სავსე.
რას მოეცნარი – შენ მკვდარი ხარ, მე კი ცოცხალი!

ჯულიეტა

რა უკულმართმა ქარიშხალმა ჩამოგვიქროლა?
რომეო მოკლეს და ტიბალტიც მკვდარია თურმე,
ბიძაშვილიც და საყვარელი მეუღლეც ჩემი.
საყვირო, შენის საზარის ხმით ამცნე ქვეყანას,
რომ აღსასრული დადგა მისი. ან ვინდა ცოცხლობს,
თუკი ეს ორი აღარ არის?

გამდელი

მარტო ტიბალტი!

ხოლო რომეო გააძევეს იმის მოკვლისთვის.

ჯულიეტა

ღმერთო, რომეომ დაანთხია ტიბალტის სისხლი?

გამდელი

მან დაანთხია, სწორედ იმან. ვაი, ამ შავ დღეს?

ჯულიეტა

ასპიტის გული დაუფარავს მომხიბლავ ვარდებს!
ურჩხულს ვინ მისცა საცხოვრებლად ეს ტურფა
მღვიმიე!

სად თქმულა, ეშმაკს ანგელოზის სახე ჰქონოდეც,
ან მგელს – ცხვრის ტყავი, ბილწსა ყორანს –
მტრელის ბუმბული,

უხაშს ქმნილებას – ღვთაებრივი სახიერება!
სახე სულ სხვა აქვს, ნამდვილად კი სულ სხვა
ყოფილა!

წმიდანო, ცოდვით დატვირთული! ჰოი, ბუნებაე,
ვიღას ამყოფებ ჯოჯოხეთში, რიღესაც ეშმაკს
ასეთ მშვენიერ სამოთხეში მიეცი ბანა?
ნეტა ოდესმე თუ ჰქონია შესამოებელად
ასე კარგი ყდა, წიგნს, ასეთი ბოროტის შეცკველს?
ო, ვერაგობა სასახლეში უნდა ცხოვრობდეს!

გამდელი

კაცებს ვინ მისცა ან სინდისი, ან ერთგულება?
ყველა უნდოა, მოღალატე, ფიცის გამტყისი.
ჩემი მსახური ხად წავიდა? არაფი მომე!
ამდენმა ვამ, მწუხარებამ და სატანჯველმა
სულ დამაბერეს. ეჰ, რომეო, შერცხველა შენ!

ჯულიეტა

ენა გაგიხმე, ვაგიშავდეს მაგ სიტყვებისთვის.
ის შერცხველისთვის ან შიბილა და თვითონ ხარცხილს
შერცხვება იმის კეთილშობილ შუბლს მიეკაროს!
იგი ტახტია, რომელზედაც უნდა ეკურთხოს
ქვეყნიურების მბრძანებელი პატიოსნება.
და მე კი, მხეცმა, უღაერო სიტყვით ვახსენე.

გამდელი

ბიძაშვილას მკვლელს ქებით ხომ არ მოიხსენიებ?

ჯულიეტა

მაშ, ჩემი ქმარი უნდა აეად მოვიხსენიო?!
საბრალო ჩემო მბრძანებელი, სხვამ ვიღამ უნდა
მოვიხსენიოს შენ ალერსით, როდესაც ცილმა,
შენთან სამიოდ საათის წინ შეუღლებულმა,
უკვე მოვასწარ და შევბღალე შენი სახელი?
ან რად მომიკალ, საძაგელო, მე ბიძაშვილი?
თუმც საძაგელი ბიძაშვილი ქმარს მომიკლავდა!
სულელნი ცრემლნი, დაუბრუნდით მშობლიურ წყაროს!
თქვენ მწუხარების მოხარკე ხართ, ახლა გეშლებათ
და სიხარულთან მოვაქეთ ხარკი: ტიბალტს ეწადა
ჩემი ქმრის მოკვლა, და ცოცხალი ვადარსა ქმარი,
მოკვდა ტიბალტი, ვისაც სურდა ჩემი ქმრის მოკვლა!
ეს ყველაფერი მანუგემებს. მაშ, რაღად გტირი?
მაგრამ აქ სიტყვა გაეიგონე უფრო მტანჯავი,
ვიდრე სიკვდილი ტიბალტისა. მე მკლავს ეგ სატყვა,
და თუმცა მინდა დავივიწყო, აღარ მშორდება
თავში მეჭობა, როგორც ცოდვილს ცოდვები მძამე:
ტიბალტი მოკლეს, რომეო კი გააძევესო.
ამ „გაძევებამ“, „გაძევებამ“, ამ ერთმა სიტყვამ
ათიათასჯერ გააქარწყლა ტიბალტის მოკვლა.
იმის სიკვდილიც მეყოფიდა მე მწუხარებად.
მარტო იგი რომ ყოფილიყო! ან მწუხარებას
თუკი სჭირდება თანამგზავრად სხვა რამ ნადევილი,
ტიბალტის მოკვლა რომ მაცნობეს, რატომ არ მითხრეს,

რომ მამაშენი, დედაშენი, ანუ ორივე
 მიიცვალაო მასთან ერთად. ეს მწუხარება
 უფრო ადვილი იქნებოდა, ჩვეულებრივი.
 მაგრამ ტიბალტის სიკვდილს შემდეგ იმის ვაკება,
 რომ გააძევეს, მომასწორეს ჩემი რომეო,
 ეს ივაკება, მომკვდარიყოს თუნდ მამა, დედა,
 ტიბალტიც მათთან, რომეოცა და ჯულიეტაც.
 „გააძევესო!“ ო, ამ სიტყვის საშინელებას
 არა აქვს ბოლო, არც საზღვარი და არცა ზომა.
 სიტყვებს არ ძალუძთ გამოხატონ ჩემი ვარაობი.
 დედა და მამა სად არიან, შენ ეს მითხარი?

გ ა მ დ ე ლ ი

ტიბალტის ცხედარს დასტირიან მოთქმით და ვიშით!
 შენც წახვალ მათთან? მე თვითონვე მიგიყვან მამინ.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

თაყის ტრემლებით დე მომბანონ კრილობა ტიბალტს,
 ჩემსას დავხოვავ. როცა ტრემლი მათ გაუშრებათ,
 მე დაღიტიარებ ჩემს განდევნილ რომეოს მამინ.
 ძიძა, ეს თაყიც ვაიტანე. საბრალო კიბეე!
 დღეს ჩვენ ვაგწბილდით ორივენი. ის გააძევეს,
 ვინც ჩემს საწოლში დამით უნდა ამოგვეყვანა.
 მაგრამ ქალწული ქალწულ ქვრივად მოგკვდები ძაღე.
 მამ წამო, კიბეე, შენც წამოდი, ჩემო გამდელი,
 ჩემს საქარწინო სარეცელში ჩაწვევა ახლა,
 და რაკი ჩემთან ვეღარ მოვა რომეო მეტად,
 დაე სიკვდილმა ქალწულობა ჩემი წაიღოს.

გ ა მ დ ე ლ ი

შენ ძაღლა წადი. მე წაყალ და შენს სანუგეშოდ
 რომეოს ვნახვ. ვიცი კიდეც, სადაც იქნება.
 იმედი გქონდეს, რომ იხილავ ამაღამ იმას.
 მასთან მივდივარ, ლორენცოსთან იქნება იგი.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ო, ნახე, ნახე... ეს ბეჭედიც მიეცი, ძიძა,
 უკანასკნელად მნახოს, უთხარ, გამოძეთხოვოს.

(გაღიან.)

ს უ რ ა ტ ი მ ე ს ა მ ე

ბერი ლორენცოს სენაკი.

შემოდან ლ ო რ ე ნ ც ო და რ ო მ ე ო.

ლ ო რ ე ნ ც ო

მოდი, რომეო, შენ საბრალოვ. უბედურებამ
 შეგიყვარა და მასთანა ჩარ ვეარდაწერილი.

რ ო მ ე ო

მითხარ, მამაო, განწინება პრინცისა ჩქარა,
 ჯერ ჩემთვის უცნობ რა ტანჯვას სურს გაცნობა ჩემი?

ლ ო რ ე ნ ც ო

შენთვის ასეთი სატანჯველი ნაცნობი არის,
 მე მოვიტანე პრინცის მსჯავრი, ძვირფასო შვილო.

რ ო მ ე ო

მერე და უფრო ღმობიერი, ვიდრე სიკვდილი?

ლ ო რ ე ნ ც ო

ჰო, ღმობიერი, გაძევება მოსწყდა მის ბაგეს.
 არა სიკვდილი ხორციელი – მხოლოდ განდევნა.

რ ო მ ე ო

თქვი, სიკვდილი-თქო, შემობრალე. სიკვდილი მიჯობს.
 უფრო საზარი თვალემა აქვს მაგ გაძევებას,
 კიდრემდე სიკვდილს. გაძევებას ნულარ მიხსენებ.

ლ ო რ ე ნ ც ო

მხოლოდ აქედან, ვერონიდან ხარ განდევნილი.
 იფავ სულგრძელი, ეს ქვეყანა ვრცელია, დიდი.

რ ო მ ე ო

ვერონას გარდა არ არსებობს ქვეყანა ჩემთვის,
 მის კედლებს გარეთ წამება და ჯოჯონეთია.
 წუთისოფლიდან წასვლას ნიშნავს აქედან წასვლა,
 ხოლო დათმობა წუთისოფლის – ხომ სიკვდილია!
 მამ, გაძევებაც სიკვდილია სახელმეცვდილი,
 და რაკი სიკვდილს გაძევებას ეძახი ახლა,
 ოქროს ნაჯახით მკვეთავ თავსა, თან იღიშები
 მომპკვდინებელ შემოკერისას და მით მამშვილებ.

ლ ო რ ე ნ ც ო

ო, მძიმე ცოდვა, ო, ეს ტლანქი უმადურება!
 სიკვდილს გულისხმობს თუმცა შენი დანაშაული,
 კეთილმა პრინცმა შეგიბრალა, არ გაჰყვა კანონს
 და შავი სიტყვა გაძევებით შეცვალა ისე.
 მან შეგიწყალა – შენ კი ამას ვერ ხედავ, შვილო.

რ ო მ ე ო

რატომ გგონია შეწყალება?! ეს წამებაა.
 აქ ზეცა არის, ჯულიეტა ცხოვრობს ხომ აქა?
 და ყოველ კატას ანუ ძაღლსა, თავესა პატარას,
 ყოველ ქმნილებას უბადრუკსა ნება ექნება
 აქ, ზეცას იყოს, ჯულიეტას შესევით დატკბეს,
 მე კი წამერთვა ამის ნება. თვით ნაკვის მწერსაც
 მეტი ნება აქვს სიყვარულის, თავისუფლება,
 პატივისცემა უფრო მეტი, ვიდრე რომეოს.
 მწერს შეუძლია, რომ შეეხოს მის სპეტაკ ხელებს.
 თვით უკვდავების სიტკბოება წარსტაცოს ბაგეთ,
 ბაგეთ, რომელნიც ღუთაებრივის უმანკობათ

სირცხვილეულნი წითლღებთან მარტიოდენ იმით,
 თითქოს ერთურობის შეხებით და კოცნით სვოდავდნენ.
 მწერს ძალუმს, მე კი მიწერია — შორს გავვცადლო.
 იმით — უფლება ნეტარების, მე კი — განდევნა.
 და მაინც ამბობ, გაძეება სიკვდილსა სჯობსო!
 ნუთუ არა გაქვს საწამლაკი შეზავებული,
 ან ბასრი დანა, ან სხვა რამე, რაც სწრაფად მომკლავს,
 თუცა არც ისე საშინელი, როგორც განდევნა.
 „გაძეებული!“ — ამ სიტყვას ხომ ცოდვილნი სულნი
 კვნესით ამბობენ ჯოჯოხეთში და შენ, მამაო,
 ცით მოვლენილო ჩვენთა ცოდვით მისატყუებლად,
 ჩემი მოძღვარო, სულს მავ სიტყვით რატომ მიწეწავე?!

ლორენცო

მე მოამისძინე, შმაგო კაცო, მსურს რაღაც ვითხრა!

რომეო

ისევ და ისევ გაძეება უნდა მახსენო!

ლორენცო

მე მსურს გასწავლო იარაღი მის წინააღმდეგ.
 მწუხარების დრის მალამოა ფილისოფია,
 ის, განდევნილსაც, შვებას მოცემს და განუეშებს.

რომეო

ისევ „განდევნა!“ ჯანდაბას ევ ფილოსოფია!
 მას ხომ არ ძალუმს ჯულიეტა შექმნას, დაბადოს,
 ანუ ქალაქებს შეუცვალოს თვისი ადგილი,
 ან პრინცის მხავარი გააუქმოს? არა, არ ძალუმს...
 მამ, შენც დაუხსენ, ამის მიტად ნუღარ ახსენებ!

ლორენცო

ახლა კი ვხედავ, შმაგებს სძენა არა ჰქონიათ.

რომეო

ნეტა რას ვიკვირს, როცა ბრძენიც ვერაფერს ხედავს!

ლორენცო

ახლა მთლი და შენი საქმე განსჯათ ერთად.

რომეო

რასაც არა გრძნობ, იმის განსჯა არც შეგიძლია.
 რომ შენც ჭაბუკი იყო ჩემებრ, რომ ჯულიეტა
 შერთული გყავდეს ორიოდ საათის წინათ,
 და რომ ჩემსავით გაშმაგებულს მოგეკლას ტიბალტ,
 რისთვისაც ჩემებრ ყოფილიყო გაძეებული,
 მაშინ შეგეძლო გეთქვა რამე, მაშინ ხელუბით
 თმებს დაიგლეჯდი, ჩემებრ ჰირქვე განერთხებოდი.
 რათა აველო გაუთხრელი საფლავის ზომა.
 (გამღული აკაუნებს ვარდნა.)

ლორენცო

ადექ, რომეო, დაამადე, ეიღაცა მოდის.

რომეო

არა, არ წავალ. მე ჩემივე კვნესა და ოხვრა,
 ბურუსის მსგავსი, დამოფარავს უცხოის თვალსაგან.
 (კლავ აკაუნებს გამღელი.)

ლორენცო

არ გეხმის, ადექ! მანდ ვინ არის? ვინ აბრაახუნებს?
 წადი, თიანში დაიმადე! მოვდივარ, ვადებ. (აკაუნებენ)
 რაღას ჯიუტობ, ღმერთო ჩემო! ანა, მოვდივარ.
 (აკაუნებენ.)

ვინ აბრაახუნებს ასე მაგრად, ვინა ხარ, რა ესურს?

გამდელო (ვარდნა)

კარი გამიღეთ და გაიგებთ, რისთვის მოვდი.
 მე ქალბატონმა ჯულიეტამ გამომავსავენა.

ლორენცო

კეთილი იყოს შენი მოსვლა!

(შემოდის გამდელო.)

გამდელო

მოა, მამაო,
 წმიდაი მამაე! მითხარ ჩქარა, ხად უნდა იყოს
 ჩემი პატარა ქალბატონის ქმარი რომეო!

ლორენცო

აკერ მიწაზე, თავისივე ცრემლებით მოკრალი.

გამდელო

ჩემი საბრალო ქალბატონიც ასეთ დღეშია.

ლორენცო

ო, მწუხარებას იანაგრძნობავ, ო, საბრალონო!

გამდელო

ისიც ასევე წევს და ტირის, ტირის და მოთქვამს.
 კარგი, გვეოფა, წამოდექი, ვაეკაცი არ ხარ!
 ადექი, კაცო, ჯულიეტას ხათრით ადექი,
 იმას გაფიცებ! რატომ ოხრავ ასე მწუხარედ?

(რომეო წამოღება.)

რომეო

ძიძა!

გამდელო

ბატონო, სიკვდილია ყველაფერის ბოლო!

რომეო

შენ ჯულიეტას ახსენებდი, ის როგორ არას?
 მკვლელად არა მრაცნ, ავაზაკად?! მე ხომ შეკვდილე!

ნორჩი დღეები ჩვენი წმინდა ბედნიერების სისხლით, რომელიც ახლობელი იყო იმისთვის. ახლა სად არის? რას აკეთებს, ანუ რას ამბობს ამ წყნს დაღუპულ სიყვარულზე შეუღლე ჩემი?

გამდელი

არაფერს ამბობს, ტირის მხოლოდ, ტირის და ტირის, ხან დაეგდება სარეცელზე, შერე კი უცებ წამოიჭრება ისევე ზეზე, ტიბალტს ეძახის, შემდეგ რომეოს დაიფვირებს და დაკარდება.

რომეო

თითქოს ამ სახელს ტყვიასავით მოკვლას იგი, როგორც ტიბალტი ამ წყეულმა ხელმა განგმირა. მითხარ, მამო, სახელს ჩემსას სად აქვს სადგური? ჩემი სხეულის რა საზიზღარ ნაწილში ბუდობს? მითხარ რომელში და ამოვგდექე მის თავშესაფარს.

(უნდა დაიკრას ხანჯალი, მაგრამ ძიძა გააგდებინებს.)

ლორენცო

შენიერი, შოგო, მოასვენე ეგ შენი ხელი! კაცი არა ხარ? გარეგნულად ვაუკაცი ჩანხარ, მაგრამ ქალურად აფრქვევ ცრემლებს და ვახელებით მხეცს ეტოლები, უგუნურსა და დაუღვრომელს. ჰოი, უღირსო დედაკაცო, კაცის სახისაე! უგუნურო მხეცო, მოქმედება შენი მაკვირვებს. ღმერთს ვეფიცები, უფრო მტკიცე ნების შეგონე. ტიბალტი მოჰკალ, ახლა გინდა თავიც მოიკლა? თუ თავი შენი გაგიწირავს, მოვძულებია, ცოლს რაღას ერჩი, რატომღა ჰკლავ — ის შენით ცოცხლობს!

რად ურისხდები ზეცას, მიწას, ან გაჩენის წუთს? ისინი ყველა შეხმატკბილდნენ შენს გასაჩენად, შენ კი სამთავეს — მიწას, ზეცას და გაჩენას ჰგმობ. ფუ, შენვე ირცხვენ სილამაზეს, გრძნობას, გონებას, რადგან დიდ განძს ფლობ, მაგრამ უვიც მეუასშის მსგავსად

ვერ იღებ მაინც ამ განძიდან ისეთ სარგებელს, რაც სილამაზეს, გონებას და გრძნობას შევიძობს. შენი ბრწყინვალე გარეგნობა აწ სანთელსა ჰგავს, რადგან დაკარგე გულოვნება მამაკაცისა. ნაფიცი ტრფობა — ვერაგობა ყოფილა თურმე, რადგან სატრფოს ჰკლავ, ერთგულება ვისაც აღუთქვია. გონება შენი, რაც სიყვარულს და გარეგნობას შემამკობელად უნდა ჰქონდეს, ორივეს იმათ ცუდად წინამძღვრობს და ღენთსა ჰგავს მოუხერხებელ ჯარისკაცისა სასწრაფოში: ახლა შენივე უგუნურებით აფეთქდა და, ნაცვლად დაცვისა კაგანადგურა. წამოიდექი, შენი მუღღლე, ვის გამოც, აიერ, თავს იკლავდი, ცოცხალი არის, ბედნიერი ხარ შენ ამითი, მეტი რა გინდა?

ტიბალტს უნდოდა შენი მოკვლა, მაგრამ შენ მოჰკალ. აქაც შენა ხარ ბედნიერი ისევე და ისევე, კანონი, რაიც შენ სიკვდილით გემუქრებოდა, მეგობრად გექცა — გაძევება გაკმარა მხოლოდ, ბედნიერი ხარ აქაც კიდევ. ლოცვა-კურთხევის ნათელი ვადგას, თავს გვევლება ბედნიერება, შენ კი პირქუში, ჭირვეული გოგონას მსგავსად, ტუჩებს უბზუებ სიყვარულსაც და ბედსაც შენსას. სჯობს მოერიდე, მოერიდე უბადრუკ სიკვდილს. ჯულიეტასთან წადი ახლა, როგორც შეეთანხმით, აღი იმასთან ოთახში და ნუგეში ეცი. მაგრამ მცველების დადგომამდე ნუ დაყოვნდები, თორემ მანტუას ვეღარ წახვალ. შენ მანტუაში: დარჩები, სანამ ხელსაყრელი ღრო დადგებიდეს. ამასობაში ვავამეღავენებთ თქვენს ქორწინებას, პრინცს პატიებას გამოვთხოვთ და უკან მოვიხმობთ. ასიათასჯერ უფრო მეტად მოილხენ მაშინ, ვიდრე ამჟამად დაღრეჯილი და მჭმუნვარე ხარ. აბა, გამდელი, წინდაწინვე გასწიე სახლში და მომიკითხე ქალბატონი. უთხარი, სცადოს ოჯახის ადრე დაძინება. ეს ადვილია: გლოვისიგან ისეც მოქანცული არიან ახლა. რიმიოც შალე შოგა თქვენთან.

გამდელი

ო, ღმერთო ჩემო!

მე შემოძლია მთელი ღამე დაერჩე, ვისმინო ასეთი ბრძნული დარიგება. სწავლა რას ნიშნავს! ბატონო ჩემო, ჩემს ქალბატონს ეეტყვი, რომ მოხვალთ.

რომეო

ისიც უთხარი, მოემზადოს სასაყვედუროდ.

გამდელი

აი, ბეჭედი, ჯულიეტამ გამომატანა. (წახვლას დააპირებს, მაგრამ ისევ შემობრუნდება.)

ბატონო ჩემო, ჩქარა, თორემ დაგეიანდებით. (ვაღის.)

რომეო

ო, ამ ბეჭედმა გამიცოცხლა ტკბილი იმედი.

ლორენცო

მშვიდობის ღამე! ახლა წადი და ეს გახსოვდეს, რომ შენი ბედი იმაზეა დამყარებული, მცველთ დადგომამდე გაეცალო აქაურობას, ანდა ცისკრისას გადაცმული უნდა წახვიდე. ცოტა ხანს დაჰყოფ მანტუაში. ამასობაში შევატყობინებ ახალ ამბებს მსახურის პირით. მომეცი ხელი, ნუ აყოვნებ. მშვიდობის ღამე!

რომეო

რომ არ მიხმობდეს სიხარული აღმატებული, დაემწუნებოდეს მკნათან ჩქარი გამოთხოვებას, ახლა მშვიდობით!

(ვალიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ს ე

ოთახი კაპულეტების სახლში.

შესიძინა მისი კაპულეტა, ქ-ნი კაპულეტი და გრაფი პარისი.

კაპულეტი

ეჰ, თავს დაკავტყდა საშინელი უბედურება, და ჯერჯერობით არაფერი ვითქვამს ქალისთვის, იუთონ განსაჯეთ, ბაძაშვილი როგორ უყვარდა! რა ექნათ, საკვირის შვილები ვართ, რა ვაქვითა! ახლა, ბატონო, ვერ ჩამოვა, შუალამა! გამოვიტყდებით, ასე გვიან არ მსტუმრებოდით, მეც დიდი ხნიდან ვიქნებოდი უკვე ლოვისში.

პარისი

მწუხარების დროს სატრფიალად ვიდას სცალია! მშვიდობის დამე, ქალბატონო! თქვენს ქალს მოვიტყვა.

ქ-ნი კაპულეტი

ვადავიქმ დილით და ვაიციებ, რა აზრისაა; ამაღამ მძისე დარდს მოეცაგეს იმისი გული.

კაპულეტი

ბატონო პარის, მე ვაქნება იმის თაყვანის, რომ ჩემი ქალი შეეფიცაგებთ. ასე მგონია, ეს არ მგონია, ეჭვიც არ მაქვს, ის ვეღვალიერმა ჩემი გამგონე და მორწილი იქნება მუდამ. შენ კი ახლავე, მეუღლეო, დამანებამდე, ჯულიეტასთან შეიარე და გაუმეღავენ ჩვენი პარისის სიყვარული. ესეც უთხარი, კარგად მისმინე, რომ ოთხშაბათს... დღეს რა დღე არას!

პარისი

ოთხშაბათი დღეს, ბატონო.

კაპულეტი

ოთხშაბათი!

აჰ, ანა, არა, ოთხშაბათი ნაჩქარევია, ხუთშაბათის სიკე! ვააფრთხილე, რომ ამ ხუთშაბათის ის კეთილშობილ გრაფ პარისთან დაქორწინდება. თქვენ მზად იქნებით? თანახმა ხართ ამ დაჩქარებათ? დიდი დრუობა ან ვეუქნება—ორიოდ კაცა.

რადგან თქვენც ხედავთ, ხელ ახლახან მოკვლეს

და დიდი დიხინი თუ ვაემართეთ, ხალხი იუქიქებს, თითქო ჩვენ იმას, ჩვენს ნათესავს, აღარ ვვლიობდეთ. მოვიპატიეთ თუგობარი ხუთი თუ ექვსი და ამით მოქრწეთ. ხუთშაბათზე რა აზრისა ხართ?

პარისი

ეტყვ ხვალ იყოს ხუთშაბათი, ბატონო ჩემო.

კაპულეტი

ხუთშაბათს იყოს, რაკი თქვენც გხერო. შენ კი ახლავე ჯულიეტასთან შეიარე, დამსინებამდე, და საქორწილოდ შეაშადე, ჩემო მეუღლე! მშვიდობით იყავ, ვაუბატონო! აბა, სანთელი! ოთახისაკენ გამინათეთ. არ ვეფურებათ?!

ეჰ, უკვე ისე ვიანაა, რომ შევკვდილა ვიქვით, ადრეცო შეტყობიქვად. მშვიდობის დამე!

(ვალიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ს უ თ ე

ჯულიეტას ოთახი.

რომეო და ჯულიეტა კამოსნიკთან ფანჯარისთან.

ჯულიეტა

უკვე მიდიხარ?... ჯერ ადრეა, ჯერ დღე შორსაა. ეს ბუღბუღია, ტირილას ხმა ნუვა გვინია, და შენი ფრთხილი ყურთახმენა იმან შეაკროთ. აქ გალობს ხალმე, ბრაწიულის ბუნქაბზე დამათ... ბუღბუღი იყო, დამსჯერე ჩემი ტრფიალი.

რომეო

ტირილა იყო, განთიადის მაუწყებელი. აბა, შეხედე, სიყვარული, მოშურნე სხივებს, აღმოჩავლეთის მუმუნეარ დრუბლებს როგორა ქქარგავს, დამის ლამბრუბი ჩაიფერულა და განთიადის ნისლიან მწვერვალს ფეხაკრეუთ უახლოვდება. უნდა წავიდე, ან დაქრწე და სიკვილს ვუცადო.

ჯულიეტა

ეს დილის სხივი ნუ გვინია — მეტყორია, მზასაგან შენთვის მეჩინადლდე გამოცხაგნადა, რათა ამაღამ მანტუისკენ გვა გაგონათოს. მაშ, დაიცადე, ჯერ წახელის დრო არ დაგდგომია.

რომეო

თუნდა შემბეჯრან, თუნდ სიკვილით დამსიჯან მცისე, მისინ დაქრწება, რაკი შენვე სხურეებ ასე, და ეკ სინათლე დილის ევალი რიდაა მარალი.

ანარეკლია ის ცინთიას! ფერმიხდილ შუბლის.
არცა ტოროლას ხმა ყოფილა, თავის წკრიალით
ზეცის კამარა რომ გაჰკვეთა. მე მიჩრევი
აქ განსადღელში დაკრე ისევ, ვიდრე წავიდე.
მიდი, სიკვდილო, ვეხალმები! ჩემს მზეს სურს ასე.
ძელაპარაკე, სული ჩემო, ჯერ დღე შორსაა.

ჯულიეტა

ო, არა, არა, გაეშურე! უკვე გათუნდა!
ეს ტოროლაა, შემაზრხენად რომ ჭყვივის ასე.
უსიამოვნოდ, უხმატბილად, შემაღონებლად.
ზოგს საამურად ეჩვენება მისი სიმღერა,
მაგრამ ცდებიან – სწორედ ეს ხმა გვაშორებს ერთმანეთს!
ზოგი ამტყიცებს, ტოროლასა და საზარელ მუგარს
ერთმანეთისთვის თითქოს თვალნი გადაეცვალოთ.
ო, ნეტავ ხმებიტ გეცვალო, ამ ხმამ გათიშა
ჩემი ძკლავები, ერთმანეთთან გადატლიბიყნი.
და განთიადის მაუწყებელ სტეენა-სიმღერით
აქედან ვიხმობს. წადი, წადი, ჩემო ძვირფასო,
უფრო და უფრო ემატება დიღას ნათელი.

რომიო

უფრო და უფრო წველიადღება ჩემი ნადიქლი.
(შემოდის გამდელი.)

გამდელი

ო, ქალბატონო!

ჯულიეტა

რაო, ძიძა?

გამდელი

უკვე გათუნდა,
და დედაშენც მიღის აქეთ, ფრახილად იყავი.
(გაღის.)

ჯულიეტა

დღე შემოუშვი, მამ, ხარკმელი, სული გაუშვი.

რომიო

მშვილობით იყავ, ერთი კონცაღ და გაგშორდები.
(ხადის დაბლა.)

ჯულიეტა

წახუდი, ჩემო მბრძანებელი, ჩემო მეუფე?
ჩემო ტრფიალო, მეგობარო, ყოველდღიურად,
ყოველ საათში მიმწვდინე შენი ამბავი.
ჩემთვის კი წუთში ბერი დღეა; ამ ანგარიშით
მე დაკბერდები, კვლავ რომეოს ვიდრე ენახავდე.

რომიო

მშვილობით იყავ!
არ გამოვტოვებ არასოდეს მარჯვე შემთხვევას
და სალამს მუდამ შემოვიტოვდი, ჩემო ტრფიალო.

ჯულიეტა

როგორ გვონია, ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხედებით?

რომიო

ეჭვიც არა მაქვს მე ამისა და შეხვედრისას
ამ მწუნარებას მოვიგონებთ ტბილი საუბრით.

ჯულიეტა

ო, ღმერთი ჩემო, რა წყეული წინათგრძნობა მაქვს.
ასე მგონია, როცა ქვემოთ გოყურებ ახლა,
თითქოს ვუტკერდე, სამარეში, ფერმახდილ ცხედარს.
თვალი მატყუებს, ანდა მართლა გაფითრებულხარ.

რომიო

მეც სწორედ ასე მეჩენები, ჩემო ტრფიალო.
გულქა ვარამი ჩვენ სისხლსა ვკწოვს. გემშვილობება.
(გაღის.)

ჯულიეტა

წყეული ბედი, ქვეყნად მუხთაღს გეძახის ყველა,
და თუკი მართლა მუხთაღი ხარ, რა გესაქმება
პატიოსნებით განთქმულ კაცთან?! იყავ მუხთაღი,
აღარ ამყოფებ მაშინ დიდხანს შენთან რომეოს
და ისევ უკან გამოგზავნი.

ქ-ნი კაპულეტი (შინგდან)

ჰაჰა ადექა, ჯულიეტა?

ჯულიეტა

ვინ არის მანდა?
დედაჩემია? ის ამღენ ხანს არ დაწოლილა,
თუ ასე ადრე ადგა უკვე? ამ უთენია,
ნეტა ვაცოდე, რა საქმე აქვს, რამ მოიყვანა?

ქ-ნი კაპულეტი

თავს როგორა ვრძნობ, ჯულიეტა?

ჯულიეტა

ცუდად ვარ, დედა.

ქ-ნი კაპულეტი

ისევ დასტირი შენს ბიძაშვილს? ხომ არ გვონია,
რომ მაგ ცრემლებით საფლაგიდან ამოთხრი მკვდარსა?
თუნდ ამოთხარო, სულ ერთია, ვერ ვააცოტხლებ.
გეყოფა! გლოვა ზომიერი სიყვარულს ნიშნავს,
ზედმეტი ურვა – ნიშანია ჭკვანაკლებობის.

ჯულიეტა

გამოვიტირო უნდა ვრძნობა მე დაკარგული.

ქ-ნი კაპულეტი

ამით ხომ უფრო ვააცხოვლებ დაკარგვის ვრძნობას;
ხოლო მეგობარს შენ ამ გლოვით ვერ ვააცოცხლებ.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

მავრამ რაკი ვგრძნობ ამ დანაკლისს, არ შემიძლია, რომ შეგობარი არ ვიტირო.

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

დამშვიდდი, შეილო, ტიბალტს არ სტირი შენ იმდენად, რამდენად იმას, რომ მისი მკვლეელი არამზადა ცოცხალი დადის!

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ყინ არამზადა, ქალბატონო?

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

აი, რომეო.

ჯ უ ლ ი ე ტ ა (თაყისოვის)

იმის სახელთან არამზადა ვეროდეს მთვ! ღმერთმა შეუნდოს! მივუტივებ მეც მთელის გულით, თუმცა არაყინ არ მიშუოთებს გულს იმასივით.

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

ეს იმიტომ, რომ მკვლეელი ისევ ცოცხალი დადის.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

იმიტომაც, რომ ვერ მისწყდება მას ჩემი ხელი, ბიძაშვილისთვის თვითონვე მსურს ვიძიო შური.

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

შენ ნულარ სტირი, ჩვენ მოგვანდე შურისძიება! ის მაწანწალა მანტუაში წასულა თურმე. კაცს მივუვზავნი — შეაპარებს იმგვარ საწამლავს, რომ მოკლე დროში ის რომეოც ტიბალტს გაჰყეება და მაშინ, შეილო, ვიშედივინებ. შინც დამშვიდლები.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

რა დამამშვიდებს მე მანამდე, ვიდრე რომეოს არ ენახავ... მკვლარსა... ჰო, მკვლარსა ჰვავს ეს ჩემსა

გული

ამდენი დარკით. მავრამ დედა, თუკი მონახავთ თქვენ მანტუაში საწამლავის წამლებსა ვინმეს, მე მოვამზადებ იმგვარ სასმელს, რაიც რომეოს მაშინვე მშვიდად დაამსენებს. გული მიკედება! ვასმენ მის სახელს... და არ ძალბიძს მასთან მივიდე, რომ სიყვარულით — ბიძაშვილი რითაც მიყვარდა — ახლა დაუახრისო ერთიანად იმისი მკვლეელი.

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

შენ საწამლავი შეამზადე, კაცს მე მოგნახავ. ახლა კი, აი, რა გახარო, ჩემო გოგონი!..

ჯ უ ლ ი ე ტ ა

ამ მწუხარე დღეს სიხარული შეშვენის განა! მაინც რით უნდა გამახაროთ, დედა ბატონო.

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

შენ ხომ კეთილი და მზრუნველი მამა გყავს, შეილო, და გულიდან რომ გადაგვროდა ეს მძიმე სევდა, მოულოდნელად სიხარული მან მოგივლინა, არც შენ ელოდი ამ სიხარულს, არც მე ველოდი.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

მიიხარით მაინც, ქალბატონო, რით გამახარებთ?

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

ხუთშაბათ დილას წმიდა პეტრეს ტაძარში, შეილო, კეთილშობილი, მიხდენილი და ახალგაზრდა გრაფი პარისი ბუდნიერს გვიფხვ, ცოლად შეგირთავს.

ჯ უ ლ ი ე ტ ა

მამ, ვფიცავ წმიდა პეტრეს ტაძარს და თვითონ პეტრეს, რომ არ გავხდები არასოდეს პარისის ცოლი. მიკვირს ასეთი აჩქარება! როგორ მიეთხოველ კაცს, ვისაც ჩემთვის ვერ ცოლობა არც უიხივია?! გეშუდარებით, ქალბატონო, უთხარით მამას, მბრძანებელს ჩემსას, რომ არა მსურს ვერ გათხოვება... და რომ ვისურვებ, გეფიცებით, მე მიეთხოვდები რომეოს უფრო, რომელიც მძულს, თქვენც კარგად იცით, ვიდრე პარისსა. ამას მართლაც არ მოეკვდილი!

ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი

ჰა, მამაშენიც. შენ თვითონვე უთხარი ასე და თვითონ ნახე, აბა ერთი, რას ვიბახუხებს! (შემოღიან მიხევი ქ ა პ უ ლ ე ტ ი და გ ა მ დ ე ლ ი)

კ ა პ უ ლ ე ტ ი

